ევროკავშირი საქართველოსთვის
EU4Justice

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
EMC
Human Rights Education and Monitoring Center

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის კუთხით კანონმდებლობასა და პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ხარვეზები და გამოწვევები რჩება, მათ შორის:

- იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინურ საკითხებზე სხდომებს არასაკმარისი სიხშირით ატარებს, რაც დისციპლინური სამართალწარმოების გაჭიანურების განმაპირობებელი ფაქტორია. 2019 წელს საბჭომ დისციპლინურ საქმეთა განხილვის მიზნით მხოლოდ 2 სხდომა გამართა;
- კვლავ ხარვეზიანია დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე არჩევის წესი, რაც ვერ უზრუნველყოფს ინსპექტორის სათანადო ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას;
- კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე გამოქვეყნებას. დასკვნები ხელმიუწვდომელია საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვნის შემთხვევაშიც, რაც გამჭვირვალობის კუთხით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს;
- არ ქვეყნდება მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
- მოქმედი კანონმდებლობით, შესაძლებელია, კოლეგიის საერთო შემადგენლობის 5-დან ორმა წევრმა (თუკი კოლეგიას სამი წევრი ესწრება) მოსამართლე ბრალეულად ცნოს და დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი დააკისროს, რაც საფრთხეს უქმნის დისციპლინური სამართალწარმოების სამართლიანობას.

საბჭოს მიერ შეწყვეტილი საქმეები 2019



- საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება
- მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება
- სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა
- აქტის კანონიერება

სასამართლო რეფორმების შედეგების შეფასება - მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა სრულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2S4fK6U. დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“(EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

დისციპლინური საჩივრების რაოდენობა 2019



მოსამართლის პასუხისგებაში მიცემაზე განხილული საქმეები 2019



რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას

- მნიშვნელოვანია მოსამართლეთა დისციპლინურ სამართალწარმოებაში ჩართულმა ორგანოებმა დროულად, ობიექტურად და ეფექტიანად უპასუხონ მოსამართლეთა დისციპლინურ გადაცდომებს;

- მნიშვნელოვანია, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი და თანმიმდევრული პრაქტიკა;

- დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერების მხრივ, მნიშვნელოვანია, დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევა საბჭოს სრული შემადგენლობის 2/3-ით;

- დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის მეტი გამჭვირვალობისთვის, მნიშვნელოვანია, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნების, ასევე დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამოქვეყნება, მხარეთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაფარვით;

- სადისციპლინო კოლეგიის მიერ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, სადისციპლინო კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღება სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

სასამართლო რეფორმების შედეგების შეფასება - მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა სრულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2S4fK6U . დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“(EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.